საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 19 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერილები და [illegible] ხით უნდა გამოეგზავნოს: Тифлисъ, [illegible] ющ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში მიღებით მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქცია და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12.

ტელეფონი 16—62.

№ 274 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 274

ღრმად დამწუხრებულნი დედა კესარია ფიფიას ასული, ძმები: ალექსი, ჯუნდა, გიგლა, ზებედე გოგიასძენი, დები: ვარვარა, ცაცუ და კაკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**სტეფანე გოგიას ძე გაძაღუას**

გარდაცვალებას, რომელიც იქნა ვერაგულად მოკლული ბაღდადის მთაზე „მოლოზანაში" 7 სექტემბერს 1918 წ. ტირილის და უკანასკნელად გამოთხოვების დღე დანიშნული არის 8 დეკემბერს 1918 წ. ძველი სტილით სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (8—5)

ღრმად დამწუხრებულნი: მშობლები მიტროფანე და ფედოსი, ძმა კარლო გალდავაძეები, ბაბუა თედორე გრიგოლის ძე გალდავაძე, დედულეთიდან, ბაბუა სიმონი და ბებია სოფიო. რუხაძეები. დედის დები: ივდითი სიმონის ასული გალდავაძისა, მაგდალინა სიმონის ასული ნიკურაძისა, ქეთო სიმონის ასული რუხაძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ პატარა

**გუდუ მიტროფანეს ძე გალდავაძის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, 21 დეკემბერს (ახალი სტილით) ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ხონის უბანი ივანიადის ეკლესიაზე

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე კატო ილიას ასული გაბუნიასი და ძმას შვილი სამონ ალმასხანის ძე გაბუნია, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 21 დეკემბერს (ახ. სტ.). სოფელ ონოღიაში იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის

**სოლომონ სიმონის ძე გაბუნიას**

სულის მოსახსენებლად

თბილისის საქონლის სადგურის მუშათა პროფესიონალური კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს დაუღალავი მებრძოლის წითელ გვარდიელების

**მირონის დავითის ძე ჩიჩოგიძის და**
**პაპო საველის ძის ჩიკვაიძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას სადახლოში სომხებთან ბრძოლის დროს.

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დუტუ და მატრონა არჩაიები, ძმა იონა, რძალი ნატაშა, დები ქრისტინა კვერკველიასი, მართა სიხარულიძისა, ელენე არჩაიასი, პელაგია გუგუშვილისა და თებრონა; სიძეები ხამსონ კვირკველია, ილარიონ არჩაია, ილიკო გუგუშვილი და ანთიმოზ სიხარულიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 ქრისტეშობისთვეს (ახალი სტილით) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი ასულის და უსაყვარლესი დის

**მარიამის**

სულის მოსახსენებლად, სოფ. საარჩაიოს მაცხოვრის ეკლესიაზე.

ღრმად დამწუხრებულნი დედა კესარია გიორგის ასული, ძმა დიმიტრი, ძმები: მოსე გერასიმე, ივანე და ნიკა ქავთარაძენი, დები: კაკალო ცხომელიძისა, ანიქო ლორჩიასი და მარია, სიძე იპოლიტე ლორჩია, ბიცოლები: ანეტა და ხარა ხალუქაძისა, ბიძაშვილები: თედო და ნიკიფორე ქავთარაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საუყვარელი

**დიომიდე ქავთარაძე**

დაკრძალვა მოხდა ქუთაისის (გეგუთი) მაცხოვრის ეკლესიის გალავანში

**საქართვ. ს.-დ. მუშ. პარტიის ცენტრ. კომ. და თფ. კომიტეტი**

გადავიდა ახალ შენობაში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი არაქელოვისა № 24, მეორე სართული.

ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე

**სახალხო სახლში** შეიკრიბება თფილისის მუშ. ჯ.-კ. დეპუტ. საბჭოს

**სხდომა**

დღის წესრიგი: სომხეთის საზღვარზე მომხდარი ამბები. მომხსენებელი
ე. პ. გეგეჭკორი

## ზურგის გაწმენდა

ომი არ აქამდე მოძმე სახელმწიფოთა შორის დაწყებულია! ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი მთავრობის, მთელი ჩვენი ხალხის სანდისი სრულიად წმინდაა: მათ ყოველი საშუალება იხმარეს, მათ ყოველნაირ დათმობაზე თანხმობა განაცხადეს, ოღონდ ომი აეცილებინათ თავიდან. მაგრამ ვერავითარმა მშვიდობის მოყვარეობამ, ვერავითარმა დათმობამ ვერ გასჭრა სომხეთის მთავრობისა და მის ხელმძღვანელ პარტიაზე—„დაშნაკცუთიუნზე". შერიგებას კიდეც სრულიად არ სწყდება მათის გული. „შენ მოკვდი, და მე დამიცადე ადგილი!" აი ის პრინციპი, რომელიც გამოსჭვივის მათი ულტიმატუმიდან და მთელი მათი მოქმედებიდან. ამისთანა მთავრობასთან და ამისთანა მოთავე-პარტიასთან შერიგებაზე ლაპარაკი გვიანღაა. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მათის ალაგმაზე.

ომი, როგორც ომი! დღეს მხოლოდ ომზე უნდა ვიფიქროთ, ომის წესიერათ წარმოებაზე და მის გამარჯვებით დამთავრებაზე. მთელი ხალხი, მთელი ჩვენი დემოკრატია, რომლის სისხლით არის შექმნილი ჩვენი რესპუბლიკა, ფეხზეა დამდგარი და არა-ჩვეულებრივს აღფრთოვანებას იჩენს თავის პირმშო შვილის დაცვაში. მეომარი ძალა ჩვენ საკმაოდ გვეყოლება. საომარი სულისკვეთა განწყობილება ძლიერია იქ, ბრძოლის ველზე, საქმე წესიერათ წავა,—ამის ეჭვი არავისა აქვს.

მაგრამ ბრძოლის ველზე, ფრონტზე ფიქრმა არ უნდა დაგვავიწყოს ზურგიც: მისი მოწყობა ისეთ წესზე, რომ ჩვენს მეომრებს აღარ დასჭირდეთ ერთი თვალის უკან დაჭერა, რომ მთელი მათი გულის ყური წინ ფრონტზე იყოს მიპყრობილი,—აი ჩვენი მაღლობელი საქმე საომარ მოქმედების დასაწყისშივე. ზურგი უნდა გაიწმინდოს ყველა იმ ელემენტებისაგან, რომლებსაც ოდნავაც ეჭვის აღძვრა შეუძლიანთ თავის ერთგულების მხრით. ომის დროს ჩვენში არა აქვს ადგილი არა მარტო მათ, ვინც ჩვენი რესპუბლიკის აქტიური მოწინაამდეგეა, არა მარტო მათ, ვინც ჩვენს ქვეყანაში სცხოვრობს და იმავ დროს სხვა სახელმწიფო ძალების შემოსვლას ელის. ჩვენ ქვეყანაში ომის დროს არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ ელემენტებსაც, რომლებსაც ასე თუ ისე შეუძლიანთ ხელი შეუშალონ ჩვენს ჯარს სამხედრო მოქმედების დროს. და ვინ არ იცის, რომ ჩვენი სოციალისტური მთავრობის ლმობიერ პოლიტიკის წყალობით ამნაირი ელემენტებით სავსეა ჩვენი ქვეყანა და უმთავრესად ჩვენი დედა-ქალაქი, რომ ისინი ჩვენში სარგებლობენ სრული პოლიტიკური თავისუფლებით, რომ მათ შეუძლიანთ თავისუფალი ლაპარაკი, წერა, მოქმედება, რომ მათ აქამდის ამ მხრივ ხელს არავინ უშლიდა, თუმცა ეს მათი თავისუფლება ჩვენი მთავრობისა და ხშირად ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინაამდეგ იყო მიმართული.

ომის დროს ყველა ეს დაუშვებელია. გაიგოს ქვეყანამ, რომ მუხანათმა მტერმა, რომელიც აქამდის მოძმის ქურქში იყო გახვეული, დანა ყელში მოგვაბჯინა და ულმობელად სიკვდილს გვიქადის. ჩვენ გვინდა სიცოცხლე შევინარჩუნოთ, სიცოცხლისთვის იბრძვის დემოკრატია! ეს უნდა იცოდეს ყველამ და ვისაც ამ საქმეში ჩვენი დახმარება არ უნდა, მას ჩვენს დედა-ქალაქში ალაგი არ აქვს.

„ის ვინც მომხრეა საქართველოს რესპუბლიკის, ჩვენთან იქნება. ის ვინც ამაში ჩვენ მხარს არ დაგვიჭერს, მტერია საქართველოსი და აქ ვერ დარჩება".

ასე სთქვა პარლამენტის უკანასკნელ კრებაზე მთავრობის თავმჯდომარემ და დემოკრატიის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ და ეს მისი სამოქმედო ლოზუნგი უნდა დაუყონებლივ იყოს განხორციელებული.

## რეაქცია გორჩალოდან

ავსტრიის რევოლუციამ 1848 წლის სლავიანთა ტომებმა ერთმა დაღუპეს თავის შოვინისტური გამოსვლით, რის გამო მარქსის გულისწყრომა დაიმსახურეს. ამიერ-კავკასიაში რევოლუციის დამახრჩობელ ელემენტათ გამოდიან სომხის შოვინისტები და თათრის ბეგები. პირველებმა აიტეხეს ომი ჯერ თათრის ხალხთან და ახლა ქართველებთან. ამ ომის შედეგია კავკასიის დემოკრატიის გათიშვა, დემოკრატიულ ელემენტების შესუსტება და ბურჟუაზიულ ფეოდალური შოვინიზმის გაძლიერება, რაიც დემოკრატიის მონაპოვართ დასამარებას უქადის.

სომხის მთავრობამ თავის ტერიტორიაზე არ გაუტარებია არც ერთი რეფორმა, რომელსაც რევოლუცია უკარნახებდა. არც მიწა მიუციათ ხალხისთვის, არც სამღვდელოების ბატონობა ჩამოუშორებიათ თავიდან; დაშნაკელები, რომელნიც სოციალისტებს უწოდებენ თავის თავს, სომხეთში მხოლოდ ხიშტის ტრიალს და თათრების ქლეტას ანდომებდნენ მთელ თავის ენერგიას, ახლა ბორჩალოსაც მოადგნენ ამავე მიზნით. დაშნაკელები მუდამ იყვნენ შემაშფოთებელნი, მუდამ სისხლის მოკვეთილათ გვილანდებოდნენ ქვეყანას. ახლაც სისხლში ახრჩობენ რევოლუციას. მათი მიზანია, როგორც ბურჟუაზიულ-კლერიკალური პარტიისა, რევოლუციის განადგურება, და ეროვნულ ბრძოლის გაჩაღებით—დემოკრატიულ წყობილების დანგრევა. მათ უნდათ ამ ბრძოლით თავიდან აიცილონ რეფორმები და შეინარჩუნონ ბატონობა. მათი შემოსევა—საქართველოზე, ეს შავბნელი რეაქციის შემოსევაა. მათი მოკავშირე და თანამგრძნობი რუსეთში დენიკინია. ეს განხორციელება რუსეთის განდარბულ ძველი წყობილებისა. ბრძოლა მათ წინაამდეგ, ეს წმინდა რევოლუციური ბრძოლაა რეაქციონური სტიქიის წინაამდეგ. დამარცხება დაშნაკცუტიუნის—ესაა დამარცხება ეროვნულ სამოსელში გახვეული რეაქციის. გამარჯვება დაშნაკცუტიუნის—ესაა გამარჯვება სისხლის ღვრის, ეროვნულ ქლეტა-ხოცვის, ესაა დაკარგვა რევოლუციისა. ამიტომ ყოველი რევოლუციონერის წმინდა მოვალეობაა ამ რეაქციის სულის ჩამდგმელთა სასტიკათ უთხრა, მიმართ და გარეთ და მათი ალაგმვით გზა გაუწმინდონ თავისუფლებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ბორჩალოსკენ, ამხანაგებო, იქიდან მოდის საფრთხე ჩვენი დემოკრატიისა და რესპუბლიკისათვის.

## პრესა

„ზნამია ნაროდა" ენერგიულად ქადაგებს ლევ ტოლსტოის პრინციპს—ის ჰგმობს ყოველგვარ ომს. ის მოწინავე წერილს უძღვნის სომეხ-ქართველთა ურთიერთობას და დაასკვნის:

„რა რიგ უცოდველიც არ უნდა იყოს ესა თუ ის მთავრობა, ის ერთნაირათ აგებს პასუხს თავის ხალხების წინაშე, ამ ამ ომისა და მის უთვალავ შედეგებისათვის, მიუხედავათ იმისა, თუ რითი დათავდება ეს ომი და რომელი მთავრობა იდგომება სახელმწიფოს სათავეში".

ამ რიგათ ომის პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთ გამოდის თარხანოვ-თუმანოვის ის ესერული ჯგუფი, რომელიც მოითხოვდა ბოლშევიკურ მოძრაობის ჩაქრობას რკინით და ცეცხლით. მაშ რათ ქადაგებენ დღეს ზნამელები ასეთს „ქრისტიანულ" მორალს? იმიტომ, რომ საქმე ეხება საქართველოს და მის დემოკრატიულ მთავრობას, რომლის არსებობაც ვერ მოუნელებია რუს-სომეხ ჩინოვნიკების მოყვარე ჯგუფს. აი დაუგდეთ ყური რას სწერს ეს ჯგუფი გეგეჭკორის განცხადების შესახებ, რომელმაც უტყუარი საბუთებით დაამტკიცა ერევნის მთავრობის ვერაგული თავდასხმა:

„საქართველოს მთავრობის ასეთი გამოსვლა არა თუ ნაადრევია, ირამედ დამღუპველიცაა, რადგანაც მას შეუძლია გამოიწვიოს გაღრმავება და გაფართოვება ეროვნულ შუღლისა და საქმეში მესამე ძალის ხომ გესმით: თუ გამოაჩერავე დაშნაკცუჩარევა".

თიფლის ვერაგობა, ეს თურმე გამოიწვევს ეროვნულ შუღლის გაღრმავებას. და ამიტომ არც გასაკვირია, რომ „ზნამია ნაროდა" ასე იწონებს თფილისის საბჭოს უმრავლესობის დადგენილებას, მიმართულს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

ჩვენ, რასაკვირველია, არ გვაინტერესებს რუს-სომეხ შოვინისტების ასეთი აზრი; ჩვენ საჭიროთ ვსთვლით მოვაგონოთ მკითხველებს, თუ როგორ მოხდა, რომ სოც.-დემ. ფრაქციის რეზოლუციამ ხმების უმრავლესობა ვერ შეკრიბა? ამის მიზეზი იყო ის ხუთმეტი სოც.-დემ. ფრაქციის ყოფილი წევრი, რომელიც ჩამოშორდა დემოკრატიას, რომელმაც ის აირჩია, მაგრამ ხელი არ აიღო ხმოსნობაზე. აი ეს არამკითხე ხმოსნებია, რომ დაშნაკელებთან ერთად შინაურ ფრონტს ამაგრებენ ჩვენს წინააღმდეგ. „ზნამია ნაროდაც", ცხადია, მათთან არის, რადგან შავრაზმელობა მათი სეპატიო ხელობაა.

ახევე იქცევა „ტიფლისკი ლისტოკი". რომელიც აგრეთვე მოწინავე წერილს უძღვნის სომეხ ქართველთა დამოკიდებულებას. ის, ასე ვთქვათ, მეტს დიპლომატობას იჩენს და გეგეჭკორის სიტყვის ქებით იწყებს, მაგრამ ორივე მებრძოლ მხარეს—სომხის აგანტურისტულ მთავრობას და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას ერთნაირათ სძრახავს:

„ჩვენ საზოგადოთ არ გვესმის ეს დავა საზღვრების გამო, რადგან ყოველგვარ საზღვრებზე უფრო ძვირფასია ჩვენთვის ხალხთა შორის მორიგება და დემოკრატიულ იდეალების ბატონობა".

ეს ტკბილი სიმღერა რომ ჩვეულებრივ ენაზე გადავიღოთ, გამოვა: თფილისიც რომ აიღონ დაშნაკელებმა, საქართველოს მთავრობა იარაღით არ უნდა შეებრძოლოს მათ. ასე რომ, „ლისტოკის" აზრით დენიკინ-კაზანოვის შემოსვლა ჩვენში, ეს იქნება დემოკრატიული იდეალების ბატონობა.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ყველა ასეთი „დემოკრატების" ალაგმვა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

* * *

„ნორ-ორიზონი" (№ 22, 18 დეკემბრის) მოწინავე წერილში, რომლის გაგრძელებას გვპირდება, საზღვრო საკითხის გამო მოჰყავს მიწერ-მოწერის შინაარსი საქართველოს და სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრების გეგეჭკორის და ტიგრანიანისა და, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„გეგეჭკორის პასუხის გამო უნდა ვთქვათ, რომ როგორც უკვე გუშინ ვთქვით,—სიტყვებისაგან აშენებული ხიდი ძალრეხად არ არის მაგარი და მტკიცე.

„და მართლაც, როცა ვკითხულობთ ეგეგეჭკორის გრძელ მიწერ მოწერას და ქართველ მთავრობის მოწოდებას უფხო სახელმწიფოს წარმომადგენლებისადმი, ერთხელ კიდევ არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ იმ სიმართლეში, რომ ფაზრო ცრუ და ყალბი სიტყვებიდან მართლა რომ არ გაკეთდება ხიდი.

„ჩვენ ვაცხადებთ მსოფლიოს გასაგონათ, რომ ქართველ მთავრობას მიწერ-მოწერაში მოყვანილი ფაქტები და მოვლენები ყალბია. შემდეგ, რომ სომხეთის მთავრობის მშვიდობიანობით სადავო საკითხის გადაჭრის ცდით საქართველოს იმპერიალისტ გამგე-მართველებს უსარგებლნიათ ამ ისტორიის განმავლობაში. და ბოლოს, ჩვენ ვაცხადებთ,—თუ ამ ქვეყანაში არსებობს ცოტა მაინც სვინიდისი და სიმართლე, არ შეიძლება სამარცხვინო ბოძზე არ მიეკრას საქართველოს ის ხელმძღვანელები, რომლებმაც თავიანთი შოვინისტური, აგრესიული და სუსტი პოლიტიკით დღევანდელი ისტორია შექმნეს.

„ქართველ მენშევიკ ინტერნაციონალისტებმა გერმანულ ხიშტების დახმარებით დაიკავეს ლორი უკვე იმ დროს, როცა სომხის ხალხი ძლივს სუნთქავდა შემოსეულ ოსმალოსაგან.

„დეკემბრის 5-ში, როცა წავიდნენ ოსმალოს ჯარები ახალქალაქიდან, მიუხედავათ იმისა, რომ სომხეთის მთავრობამ სთხოვა საქართველოს მთავრობას სადავო ალაგას ჯარი არ გაეგზავნა, ჯარები მაინც შევიდნენ და დაიკავეს ეს ადგილები იმ მოსაზრებით, რომ ამ მაზრის დაკავება სადავო საკითხს არ წარმოადგენს არც ისტორიულად, არც პოლიტიკურ და არც ზნეობრივ თვალსაზრისით.

რაც შეეხება იმას, თითქოს დეკემბრის 13-ს წინ, გეგეჭკორის სიტყვით, ქართველებს ზარბაზნები არ დაუშენიათ სომხის სოფლებისთვის, მოჰყავს გაზ. „ბორბა"-დან შემდეგი: „№ 1 ჯავშნოსანი მატარებლის უფროსი დეპეშით ატყობინებს ჯავშნიან მატარებლის შტაბს, რომ 9 დეკემბერს, დილის 8 საათზე ჩვენი რაზმი გაემგზავრა სოფ. შულავერში. გზაში რაზმს სომხებმა სროლა აუტეხეს, რომელთაც მთა ეპირათ. ჯავშნოსანიდან საარტილერიო და ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით ვუპასუხეთ".

ასეთ სიმართლით დადიან ქვეყანაზე „დაშნაკელები". მგელი მგლას ტყავს არ დახევსო, ნათქვამია; და თფილისელ „დაშნაკელებისაგან", რასაკვირველია, ვერ მოვითხოვდით მიუდგომლობის გამოჩენას;

შოვინიზმის ზზამით გამსჭვალული ხალხი ვერ დაინახავს იმ აშკარა სიმართლეს, რომ მელიც სომეხ-ქართველთა სახელმწიფოების ბრძოლაში ქართველების მხარეზეა.

„შენ მოკვდი, რომ შენი ადგილი მე დავიჭირო"! ამ პრინციპზე მდგარს, რასაკვირველია, ვერ დაანახვებ, რომ საქართველოს მთავრობა მზათ იყო ყველაფერი დაეთმო, რაც კი შეიძლება, ოღონდ თავიდან აეცილებინა ომი.

„დაშნაკელებს" სხვისი სიმართლის დანახვა არ შეუძლიანთ. ამის დამტკიცება ამოწერილ სტრიქონებიდანაც სჩანს: მათ ხანაინიდან მოსულ დეპეშის ტექსტი მოჰყავთ, ვითომდა იმის დასამტკიცებლათ, რომ ქართველ ჯარს ზარბაზნები უსროლია სომხის სოფლებისთვის. ის კი ვერ დაუნახავთ, რომ იმ ტექსტში ნათქვამია: „გზაში ჯარს სროლა აუტეხეს სომხებმა, რომელთაც მთა ეპირათ. ჯავშნოსანიდან საარტილერიო და ტყვიის მფრქვეველთა ცეცხლით ვუპასუხეთ". როგორც ვხედავთ, ჩვენს ჯარებს მთისთვის დაუშენიათ ტყვია, და არა სოფლისთვის, როგორც ეს „დაშნაკელთა" მთავრობამ და მისმა თფილისელმა აგენტებმა მოჰყვრეს.

## ცეცხლი

იყო ერთი მშვენიერი, მოხიბლავი ქალწული, რომლის ხმა-ტკბილმა საგალობელმა გალობამ აგვიწვალოტა გულის კუნძულები, აგვამთავრა უიმედობის ველები, საამოდ აგვიკისკისა შავი, პირ-ტუქსი გრძნობა, ფიქრით დაჩაგვრული გულები.

იცით, ვინ იყო ის ქალწული?..

იგი მშვიდობიანობა იყო.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში შვების ბუდეებში გაბრწყინებული მშვიდობიანობა...

სხვებს ივაწყვად ჰქსაქსავდა ბრწყინვალობა, ჩვენ კი გვაერთებდა. გვახლმიკებდა ჩვენი საყვარელი ქალწული—მშვიდობიანობა...

იგი თავისუფლების ბრწყინვალე, გამთბობელ სხივებს უხვად მიმოაფრქვევდა თვის

# დღეს

თფილისში მობილიზაციის პირველ დღეთ 18 დეკემბერი გამოცხადდა. სამხედრო უფროსი მოუწოდებს ჯარისკაცებს გამოცხადდენ ვაგზლის ქუჩაზე, სადგურის პირდაპირ, თამამშევის სახლში, დილის 8 საათიდან საღამოს 16 საათამდე.

თფილისის გენერალ გუბერნატორის განკარგულებით დახურულ იქნა გაზეთები: „კავკაზსკოე სლოვო“, „აშხატავორი“ და „ნორ ჰორიზონი“.

გერმანიასა და პოლონეთს შორის დიპლომატიური კავშირი შესწყდა. პოლონეთში ამ ჟამად ოთხი მთავრობაა—ვარშავში, ლიუბლინში, ლვოვში და კრაკოვში.

გენ. მაკენზენის არმია რუმინიიდან და ჰუნგრეთიდან გავიდა, მხოლოდ 2 ათასი კაცი წაიყვანეს ტყვედ რუმინელებმა.

გერმანიის სახელმწიფოებში ცალკე დამფუძნებელი კრებების არჩევნები ხდება. არჩევნებში იმარჯვებენ ზომიერი სოციალისტები.

დაჭერილ ოლქებში (გერმანიაში) ფრანგებმა გარეკეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსაგან შემდგარი სახალხო საბჭო.

ბერლინიდან გაძევებული რუსეთის საბჭოთა მთავრობის ელჩი იოფე თავის თავს გერმანიის საბჭოთა ყრილობის მიერ მოწვეულად სთვლის და სცდილობს გაარღვიოს სადემარკაციო ხაზი და შევიდეს ბერლინში.

---

ირგვლივ და მოუწოდებდა გაყინულთ და დამშრალთ:

„ჩემსკენ, ჩემსკენ, კაცთა სიავისგან, დევნილნო და წამებულნო, ჩემსკენ“...

თვალისმიანი ძახილით მოიხმობდა და ათბობდა, უდობილდებოდა ყველას...

მაგრამ... მაგრამ...

მოვა და ღვარძლიანს იმპერიალიზმს... შეშურდა ეს ბედნიერება და უარესათ გაუბოროტდა გული:

როგორ, როგორ შეჰქმნა საქართველოს რესპუბლიკამ ძალა მტაცებელთა გამკლავებისა, ანარქიის ჩაქრობისა, ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებისა, როცა მე ვთრგუნავდი მას ყველგან—ყოველთვის.. ბრძოლა, ბრძოლა ასეთს სახელმწიფოს .. ბრძოლა..

ნესტანდარეჯანსავით ქაჯეთის ციხის ცხრაკლიტურში დაურჩა გამომწყვდევა ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეს, ჩვენს მშვენიერს საყვარელს ქალწულს—მშვიდობიანობას...

ყველა მიხვდება ვისზედაცაა ლაპარაკი...

სომხეთის უპასუხისმგებლო მეთაურებმა მოულოდნელად მოგვისიეს ჯარი... შოვინიზმის თრიაქით დამთვრალი ჯარი...

როდესაც რომელიმე ვერაგი მტერი თავისუფლებისა დაუწყებს ხოლმე მუქარას ჩვენს რესპუბლიკას, მე მაინცა და მაინც არ მაშინებს ესა... მე მარად ვნუგეშობ ხოლმე ჩვენი ახალგაზრდა მგოსნის ვ. ტუქსიშვილის სიტყვებით:

„მახვილს თუმცა პირი ქარქაშში უდევს
ჟანგი მისს აბჯარს არ ეკიდება“.

მართლაც, თუმცა საომარს გუნებაზე არა ვართ, მახვილიც ჩაგებული გვაქვს, მაგრამ ნუ გგონიათ გაგვიძნელდეს მისი ამოწვდა. არა ერთხელ უშიშვლია იგი ჩვენს დემოკრატიას და თავზედი უწყვლინებია მისი ფოლადი პირით მუხანათ მტრისთვის.

დღეს კი, როცა თავს გვესხმიან მეზობელი მოძმენი, ისინი, რომელნიც ორი ათასი წლიწადი ჩვენთან მეგობრულად სცხოვრობდნენ, დღეს გვამძიმს მახვილის ამოწოდება.. გვიმძიმს..

16 დეკემბერს, როდესაც ეს საბედისწერო საკითხი ირჩეოდა ქალაქის ხმოსანთა საბჭოს სხდომაზე, მე მინდოდა ხმამაღლა შემეძახნა სომხის ხალხისთვის: „განა რევოლუციის გარიჟრაჟისას იმისთვის გამოვჭედეთ მახვილი, რომ ერთი მეორე ვხოცოთ და ვმუსროთ?.. ჩვენ ინტერნაციონალისკენ გავიყურებოდით, ინტერნაციონალისკენ მივაფრიალებდით უთვალავ მებრძოლთა სისხლისაგან გაჟღენთილს თავისუფლების წმინდა დროშას და რას სჩადით, რასა, მოძმენო, პროვოკატორების ხელით რათ გვაშვებინებთ მას დაბლა, რათა?.. რათა?.. რათა?..“

საბჭოს ქანდარაზე გვერდით მისხდნენ სომხები და ვერ შევრიგებოდი იმ გარემოებას, რომ აი ამათი თანამემამულენი სალამის ნაცვლად სისხლის ჭამყვანავი სისინით მოაცურებენ ჩვენსკენ იმ შემაზრზენ, შხამიანი გველს, რომელსაც ომი ეწოდება... ომი...

გუშინ მე ვუყურებდი გოლოვინის პროსპექტზე, რომ იწოდა „პალას ოტელის“ შენობა და გაფითრებული ვფიქრობდი: აი იწვის ერთი, ერთად ერთი შენობა და, თუმცა ქალაქი ზედ დადგომია, მაინც ვერ ჩაუქრიათ... მაინც ბობოქრობს საშინელი, ამაფორიაქებელი ცეცხლი.

რაღა უნდა იყოს მაშინ, როდესაც ომის კორიანტელი და ზღვა ცეცხლი მოედება ორ სახელმწიფოს.

ვინ, ვინღა შესძლებს მის ჩაქრობას..

ვიღა გადაგვირჩენს იმ მომხიბლავს საყვარელს ქალწულს, რომლის სახელი მშვიდობიანობაა და რომელიც საქართველოს პატარა კოპწია რესპუბლიკის თავისუფლების ყვავილებით აზურმუხტებულს კუნძულიდან თალსმიანი ძახილით მოიხმობს თვისკენ ყველა დევნილებს და დაჩაგრულებს:

ჩვენსკენ, ჩვენსკენ კაცთა სიავის სუსხისაგან დამზრალ გათოშილნო, ჩვენსკენ!..

დ. თურდოსპირელი.

# საქართველოს პარლამენტი

17 დეკემბრის სხდომა.

სხდომას აუარებელი გარეშე საზოგადოება ესწრება. ყველა გულის ფანცქალით მოელის მთავრობის განცხადებას.

პარლამენტი ჩვეულებრივათ კანონ პროექტების განხილვას შეუდგა. უკამათოთ ამტკიცებს ქალაქის საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულებას. აგრეთვე უკამათოთ იღებს კანონ-პროექტს სახლის შესანახავათ საჭირო ხარჯთ-აღრიცხვისას.

მ. რუხია ვრცელ მოხსენებას აკეთებს ნაფიც მსაჯულთა დებულების შესახებ. სოც. დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით ეს კანონ პროექტი გადასამუშავებლად დაუბრუნდა იურიდიულ კომისიას.

მთავრობის სახელით სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მთავრობის თავმჯდომარე. პარლამენტის სხდომის ეს ნაწილი მოგვყავს სტენოგრაფიული ანგარიშიდან:

**ნ. ჟორდანია.** ბატონებო, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. იმ დროს, როცა მსოფლიო ომი ქრება, როცა უდიდესი იმპერიალისტური ქვეყნები თავის ხმალს აგებენ ქარქაშში, და მსოფლიოს ზავი მზადდება, აი ამ დროს სომხების მთავრობა მალულად და ჩუმათ ჩვენ საქართველოს რესპუბლიკას თავს დაესხა.

ეხლა ირკვევა აშკარად, რომ მან, ან მისმა აგენტებმა ჯერ მოატყუეს სომხური სოფლები აჯანყებით, შემდეგ ეს თითზე დაიხვიეს და თავისი რეგულიარული ჯარები ჩვენს საზღვრებში შემოიყვანეს. ამითი სომხეთის მთავრობამ დაარღვია საუკუნოებით შემუშავებული კეთილ მეზობლური განწყობილება.

მან ლახვარი ჩასცა როგორც ქართულ, ისე სომხის ხალხის ისტორიულ ტრადიციას.

მათ შორის არასოდეს ომიანობა არა ყოფილა, და აი ეხლა ამ მთავრობამ ორივე ხალხი ჩაითრია ამ სამარცხვინო საქმეში. თუ კი საშუალო საუკუნოებში, იმ ბარბაროსულ დროს ორივე ერის მთავრობა ახერხებდა მშვიდად, მეგობრულად ცხოვრებას, რა მოხდა დღეს მეოცე საუკუნეში, რომ სომხის მთავრობა ომის გზას დაადგა, ჩაიდინა დიდი ისტორიული დანაშაულობა და ეს დანაშაულობა დარჩება წარუხოცელი ისტორიის ფურცლებზე.

კაჩაზნუნის მთავრობამ პასუხი უნდა აგოს როგორც ხალხს ისე სამართლიანობის წინაშე.

მან უნდა მოიყვანოს ის საბუთები, თუ რის ძალით შეუძლიან მას ეს თავისი მოქმედება გაამართლოს.

ჩვენ უკვე ვიცით ეს საბუთები და ეხლა მე მინდა, რომ ეს საბუთები, რომელიც ჩვენ გვაქვს თქვენ გაგაგებინოთ. თქვენ გასაჯეთ თუ მართლა ეს საბუთები წააგავს საბუთებს და თუ მართლა შეიძლება ამ საბუთების ძალით ასეთი დიდი ისტორიული დანაშაულობის ჩადენა.

ისინი გვწერენ: „საზღვრებზე მდებარე ჩვენ ტერიტორიაზე ერთ სომხის სოფელში მიაყენეს შეურაცხყოფა თქვენმა სალდათებმა აქაურ მცხოვრებლებს, და ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ“-ო.

აი, ბატონებო, მათი პირველი საბუთი. და მეორე? საიდან იციან, რომ ეს ასე მოხდა? და თუ ასეთი ფაქტი მოხდა, რატომ ეგონათ, რომ ჩვენ თვითონ დამნაშავეს არ დავსჯიდით? და ან საიდან მიიღეს ის უფლება, რომ ჩვენ საშინაო საქმეში, ასეთ წვრილმან კითხვას გამო ჩაგვერეოდნენ? სად, რომელ ქვეყნებში მოხდა, რომ ასეთი წვრილმანი საქმის გამო ერთ სახელმწიფოს ომი გამოეცხადებინოს მეორე სახელმწიფოსათვის?

აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს საბუთი ისეთი მხატვრული, გამოგონილია, რომ ვერავითარ საბუთობას ეს საბუთი ვერ გასწევს. ვერავითარ სამსჯავროს წინაშე, ვერავითარ მთავრობის წინაშე ამ საბუთით ვერასოდეს ვერ წარსდგებიან.

მეორე საბუთი: „თქვენ დაიჭირეთ, ამბობენ ისინი, სადაო რაიონები“.

დიახ, ჩვენ დავიჭირეთ ეს სადაო რაიონები, მაგრამ, განა ეს ახალი ამბავია?

ჩვენ დავიჭირეთ მხოლოდ ის ხაზი, რომელიც გვეჭირა ამ 2 თვის წინად. ეს მოხდა მათი თანხმობით. და თუ არ შეიძლებოდა მაშინ ამ რაიონების დაჭერა, რატომ მაშინვე არა თქვეს, რომ ამ რაიონების დაჭერა არის ომის საბაბი?

არა, მაშინ ეს მათ არ უთქვამთ.

მაშინ ჩვენ მათთან მოლაპარაკება გვქონდა. თქვენ გახსოვთ, ჩვენი ჯარი და მათი ჯარი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს და მათთვის საზღვრების საკითხი ახალი საქმე არ არის. ჩვენ თავის დროზე გამოვაცხადეთ, რომ საქართველოს საზღვრებად ჩვენ ვსთვლით მთელ თფილისის გუბერნიას და ამ გუბერნიას დავიჭერთ. და თუ ვისმე აქვს სადაო რამ,—მობრძანდით და ვილაპარაკოთ.

ეს ახალი ამბავი არ არის.

იმავე ძალით ჩვენ დავიჭირეთ ჯავახეთი. ესეც არ არის ახალი ამბავი.

ჩვენ დიდი ხანია, ეს არ დაგვიმალნია, გავგზავნეთ იქ ჯარები და დავაარსეთ განსაკუთრებული გენერალ გუბერნატორობა ახალციხეს და ახალქალაქის მაზრებში.

ჩვენ ამაზე ვქონიეთ მიწერ მოწერა ოსმალეთთან. ოსმალეთი წავიდა და ჩვენ იქ შევედით. ასე რომ სრულიად არ მომხდარა ისე უცბად და საიდუმლოდ.

და ეს არავისთვის არ არის ახალი ამბავი. ეს არის ბატონებო სულ მათი მთელი საბუთები. ამაზე მეტი საბუთები მათ არ მოუძებნიათ და ამაზე მეტი მათ არც მოუწერნიათ.

აქედან თქვენ ჰხედავთ, რომ ეს საბუთი იყო ძველი საბუთი, და არის წამოყენებული მხოლოდ იმიტომ, რომ გაამართლონ თავისი საქციელი.

თქვენ კარგად იცით, რომ მგელმაც არ შეჭამა კრავი უსაბუთოდ, მან ის საბუთი წამოაყენა, რომ კრავმა წყალი ამიმღვრიაო, ამიტომ უნდა შეგჭამოო. მაგრამ რომელი სერიოზული ადამიანი დაიჯერებს, რომ ის მოქმედებდა ამ საბუთებით იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მისი ბუნება, რომ მგელმა შეჭამოს ის, რის მოხელთებაც შეუძლიან. და მე მგონია, რომ კაჩაზნუნის მთავრობას ასეთი ბუნება აქვს (ვეშაპელი: ნუ თუ ჩვენ კრავები ვართ? რატომღაც უნდა ვიყვნეთ კრავები?).

მე მგონია, ბატონებო, რომ კაჩაზნუნის მთავრობას ასეთი ბუნება აქვს. მას არ შეუძლიან მეზობლებთან იყოს მშვიდობიან განწყობილებაში, მას უნდა ჰქონდეს მუდამ ვისმესთან ომი, შუღლი და ჩხუბი,—აი ეს არის მთავარი მიზეზი ამ ფაქტებისა, ამ საქმისა, რომელიც ხდება ბორჩალოს მაზრაში და არა ის მიზეზები, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს და დღეს აქ გაგაცანით. ჩვენ გვეგონა და ვფიქრობდით, რომ ერევნის მთავრობამ იცის და აფასებს იმას, რომ თუ მას დღევანდელ პირობებში ასე თუ ისე თათრებთან ცუდი განწყობილება აქვთ, სამაგიეროდ ქართველებთან აქვთ კარგი განწყობილება. და ჩვენ კარგი განწყობილება გვქონდა მათთან. და მათ სრულიად მოულოდნელად ჩვენდამი კეთილი განწყობილება კი აშკარად ჩაშალეს. ჩვენ და მათ შორის დიდი ხნის გადებული ხიდი ჩალეწეს და დღეს თავის თავს ამართლებენ. რა იმედით? ვეკითხებით ჩვენს თავს და ვფიქრობთ, რომ მათ ალბათ რაიმე იმედი აქვთ რომელიღაც ძალისა, მაგრამ არა მგონია ეს იმედი მათ გაუმართლდეთ. არა მგონია იყოს ისეთი სახელმწიფოებრივი ძალა, რომელიც გაამართლებს ასეთ ვერაგულ მოქმედებას.

მართალია, ჩვენ მივმართავთ გარეშე ძალას, მაგრამ ჩვენ მივმართავთ არა ამიერ-კავკასიის ერთა წინააღმდეგ, არამედ ამიერ-კავკასიის მტერთა წინააღმდეგ.

ჩვენ ამ ძალის საშუალებით ერთ და იმავე დროს დავიცავით, არა მარტო ქართველები, არამედ დიდძალი სომხობა (ხმა: მართალია). აი ჩვენ ამ აზრს ვატარებთ.

მხოლოდ, ბატონებო, კაჩაზნუნის მთავრობა ემყარება ვიღაც, რაღაც ძალას არა ამიერ-კავკასიის ერთა სასარგებლოდ, არამედ ჩვენს წინააღმდეგ. უნდა დავუმატოთ, რომ აქ არის ორი პოლიტიკა, ორი ხაზი. ერთი არის ჩვენი, მეორე არის მათი. ჩვენი პოლიტიკა არის მიმართული ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისაკენ, მეორე ხაზი არის მიმართული იმისკენ, რომ ეს სოლიდარობა სამუდამოდ მოისპოს და შუღლი და მტრობა, რომელიც, სამწუხაროდ, არსებობს სომხებსა და თათრებს შორის, რომ ეს მტრობა და შუღლი სამუდამოდ ჩამოვარდეს ქართველებსა და სომხებს შორისაც. ჩვენ, ბატონებო, ამ ხაზს ვებრძოდით თავიდანვე და ვებრძვით დღესაც. აქედან ცხადია, რომ თვითონ სომხეთში და, ალბათ სომხის მთავრობაშიაც, ჩვენ ვიცოდით წინადაც, რომ იყო ორი მიმართულება. ერთი მიმართულება იყო სწორედ ის, რომ ჩვენთან შეთანხმებულიყვნენ, მეორე მიმართულება იყო—მიმართულება მოუზღვრებისა, რომ ძალით იყოს გადაწყვეტილი საქმე. მე უნდა გითხრათ, რომ მაშინვე მე ეჭვი დამებადა, როცა პირველი მიმართულების, მეთაური კარჩიკიანი მოჰკლეს. მაშინვე ვსთქვი, ალბად, საქმე ცუდად მიდის-თქო. (ხმა: მართალია. ვეშაპელი: რა ზომები მიიღეთ?) უეჭველია, რომ ამ უკანასკნელ სამ დღეში, ამ უკანასკნელ დროს, ან შეიძლება წინადაც, ეს მეორე სამხედრო პარტია, რომელიც მომხრე არის, რომ მაუზერებით გადაწყდეს საქმე, მათ გაიმარჯვიათ ერევანში და დღეს ჩვენ გვაქვს ომი.

ყოველ შემთხვევაში, ამ ხრივ, ამ დიდ ისტორიული დანაშაულობის პასუხისმგებელი არის მთავრობა კაჩაზნუნისა (ხმები: პარლამენტი?).

ჩვენ მოვითხოვთ, ჩვენი მთავრობა მოითხოვს, რომ ამ საქმეს შევხედოთ სერიოზულად, რომ—მთელი საქართველო ფეხზე დადგეს,—და საუკეთესო მებრძოლნი გამოგზავნოს.

იქ, სადაც უფლება არ სჭრის და არც მოლაპარაკება, სადაც არ სჭრის ერთა უფლება, მე ვამბობ:

დეე ხმალი იყოს ამ უფლების გადამჭრელი.

სადაც არ სჭრის გონიერება, დეე იარაღმა გადასჭრას კითხვა. ჩვენ ამისი არ გვეშინია (მქუხარე ტაში), ჩვენ ვართ ღრმად დარწმუნებულნი, რომ ვიღონებთ ყოველნაირი ღონე

თქვენ იცით, ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ ყოველნაირი ზომები მივიღეთ, რომ ეს ხმალი აგვეშორებინა.

ჩვენი საქმე წმინდა საქმეა და ჩვენ მოვსთხოვთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად პარტიისა, რადგანაც დღეს ვინც არ არის ჩვენი მომხრე, ის არის ჩვენს წინააღმდეგ, არის ჩვენი მტერი და ისინი ჩვენს საქართველოს რესპუბლიკაში ვერ დარჩებიან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს დადგა ისეთი დრო, როცა ასე თუ ისე ჩვენ უნდა დავამყაროთ ამიერ-კავკასიის ერთა შორის ერთი უფლებრივი მდგომარეობა. და ვინაიდან ეს უფლებრივი მდგომარეობა არ სურს იქ ერევნის მთავრობას, ამიტომ ჩვენ ეს თავზე უნდა მოვახვიოთ ერევნის მთავრობას იარაღით ხელში.

თუ დღეს დავმარცხდით, მე ვამბობ: ამიერ-კავკასიაში სამუდამოთ დარჩება შუღლი და მტრობა და ამიერ-კავკასიაში ან ფედერაცია ან კონფედერაცია შეუძლებელი იქნება.

ჩვენ მოუწოდებთ საქართველოს დემოკრატიას საბრძოლველად არა სომხის ხალხთან, პირიქით, სომხის ერი უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ სომხებსა და ქართველთა შორის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკის შორის არის მუდმივი უფლებრივი მშვიდობიანური განწყობილება, არამედ, ბატონებო, ჩვენ მოვითხოვთ შევებრძოლოთ იმ მთავრობას, იმ სამხედრო მთავრობას და პარტიას, რომელმაც ეს საშინელი და უდიდესი დანაშაული ჩაიდინა. (დადიანი: სომხეთის პარლამენტი რა აზრისაა?).

ბატონებო, მე არ მოგახსენებთ სომხეთის მთავრობის აზრს, მე მოგახსენებთ ჩვენი მთავრობის აზრს.

ვინც ჩვენს წინააღმდეგ აღმართა ხმალი და იარაღი, ჩვენ უნდა ავიღოთ იგივე იარაღი და იმავე იარაღით უნდა გავცეთ პასუხი.

ამის ძალა ჩვენ შეგვწევს.

საჭიროა, მხოლოდ თვითეულმა მოქალაქემ, თვითეულმა მოხელემ თვისი მოვალეობა შეასრულოს და მტერს მტრულათ შეხვდეს. (მქუხარე ტაში. მთელი პარლამენტის წევრები ლოჟებზე, ხორებზე მსხდომნი ტაშის ცემით ფეხზე ადგომით ეგებებიან ნ. ჟორდანიას. ბბ. აღეტისიანი, დავითხანიანი, თარხანოვი და თუმანოვი სხდებიან და მონაწილეობას არ ღებულობენ საერთო დემონსტრაციაში. ისმის ხმები: ადექით, ადექით! ესენი არ დგებიან. გაისმის: შპიონი! პროვოკატორი! გაითრიეთ გარეთ! მოშორდით! მეტეხში უნდა ისხდნენ. ისმის სხვა ხმები. თარხანოვი, თუმანოვი, და სხვები დარბაზს სტოვებენ).

ამის შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა.

(გაგრძელება იქნება)

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 18 დეკემბერი.

**ცეცხლი „პალას ოტელში“.**

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ ფონ კრესმა „პალას-ოტელში“ ცეცხლის გაჩენის გამო შემდეგი ნოტა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს: „სხვადასხვა გაზეთებში მოთავსებული იყო, რომ „პალას-ოტელის“ ცეცხლის გაჩენის და გაძლიერების მიზეზი იყო ის, რომ თითქოს იქ გერმანელებს ჰქონდეთ დიდი ძალი ბენზინი, ნავთი და ასაფეთქებელი მასალა. მე პატივი მაქვს მოვახსენო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, რომ ეს სრულიადაც არ შეეფერება სიმართლეს მცირე ნაწილის გარდა, რომელიც გასათბობად საჭირო იყო, ჩვენ ჯარისკაცებს ცეცხლის გაჩენის წინა დღით, არ მიუტანიათ არავითარი ბენზინი, ნავთი ან რაიმე ასაფეთქებელი ნივთიერება“.

გერმანელების საქონელი ცეცხლის დროს არ დაზარალებულა, რადგანაც მსწრაფლ გამოწვეულ იქნენ ჯარისკაცები, რომლებმაც საკომენდანტოს მოწყობილობა გადიტანეს.

**გერმანიაში.**

გერმანიის სხვადასხვა ნაწილებში ხდება არჩევნები თავის დამფუძნებელ კრებებში. არჩევნებში იმარჯვებენ ზომიერი სოციალისტები. გადიან აგრეთვე ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიის კანდიდატები. დამოუკიდებლები უმცირესობაში არიან.

**დიპლომატიური კავშირის შეწყვეტა პოლონეთსა და გერმანიას შორის.**

16 დეკემბერს დიპლომატიური კავშირი პოლონეთსა და გერმანიას შორის შესწყდა. ამის ინიციატორი პოლონეთი იყო. მან განაცხადა, თითქოს გერმანიასთან კავშირი მის შინაურ ურთიერთობას ავნებს, ნამდვილად კი, მას სურს ისარგებლოს შემთხვევით და აიღოს პოზნანის ქალაქები და ამით საზავო კონგრესი უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენოს.

**გერმანელ ჯარის ევაკუაცია საქართველოდან.**

გემი „როლოსტო“ ოდესისკენ წავიდა. რადგანაც გზა პოლონეთზე შეიკრა, შემდეგი ტრანსპორტის გაგზავნა შეჩერებულია. საქართველოში ეხლა 1,000 ჯარისკაცამდე იქნება. დელეგაციის თავმჯდომარემ დეპეშა გაუგზავნა გერმანიის უმაღლეს სარდლობას და სამხედრო მინისტრს, რომ მოხერხდეს ჯარის გამგზავრება დარდანელით.

**ხოლფის გადადგომა.**

გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარი ხოლფი თანამდებობიდან გადადგა. ჯერ-ჯერობით მოვალეობას ისევ ასრულებს, სანამ მისი მოადგილე გამოინახებოდეს.

**უკრაინის ამბები და იქ მყოფი გერმანელი ჯარები.**

უკრაინაში მყოფ გერმანელ ჯარებს ნაბრძანები აქვთ უკრაინის ამბებში ნეიტრალიტეტი დაიცვან, მაგრამ ეს ზოგ ალაგას ვერ ხერხდება ადგილობრივი პირობების გამო.

**მაკენზენის ჯარი.**

მაკენზენმა მოასწრო რუმინიიდან ჯარი გაეყვანა, მაგრამ 2,000 ჯარისკაცი იქ მაინც დარჩა, რომლებიც ტყვეთ ჩაიგდეს რუმინელებმა.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

18 დეკემბერი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

შერბურგის მუნიციპალურმა საბჭომ არაჩვეულებრივ სხდომაზე დაადგინა შემდეგი შინაარსის მიმართვა გაუგზავნოს პრეზიდენტ ვილსონს: მუნიციპალური საბჭო ქ. შერბურგისა, საიდანაც შეერთებულ შტატების მრავალი მოქალაქე ჩვენთან ერთად გაემგზავრა ბრძოლის ველზე ხალხთა უფლების და თავისუფლების დასაცავათ, ქ. შერბურგის მთელი მცხოვრებთა სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით და მოსურნე, რომ მდგომარეობამ ხელი შეუწყოს ჩვენ დემოკრატიას, გამოხატავს თავისი აღფრთოვანება შეერთებულ შტატების საქვეყნოთ ცნობილ მოქალაქის მათ სამშობლოში ჩამოსვლის გამო.

ალბაში (?) გაიხსნა ტრანსილვანიის რუმინთა ეროვნული კრება. კრებას დაესწრო რამოდენიმე ასი ათასი ტრანსილვანიის და ჰუნგრეთის რუმინელი. კრებამ უნდა გამოეცხადებინა მთავრობის კომიტეტის კონსტიტუცია. მ. ქალუმანიუ დაინიშნა საბჭოს თავმჯდომარეთ და შინაგან საქმეთა მინისტრათ.

**გერმანული პრესის ცნობები.**

სახალხო კომისართა საბჭომ გერმანიის ხალხს მოწოდებით მიმართა. მოწოდებაში ნათქვამია: ომმა ჩვენ გაგვაღარიბა, მაგრამ დამარცხებამ უფრო მეტათ. მიწის დამუშავებას ყურადღებით არ ვეპყრობოდით. ჩვენი შინაური საქონელი მოსპობილია, ტრანსპორტი შემცირდა, ქარხნებში მუშაობა ზოგან შემცირდა, ზოგან კი სრულიად შეჩერდა, ნედლი მასალა არ მოგვეპოვება, ზავის მძიმე პირობები თავისუფალ მოქმედებას გვისპობს. გამარჯვებულებმა აუარებელი ტვირთვა დაგვადევს. შემდეგ მანიფესტი გერმანიის მუშებს მოუწოდებს აღიდგინონ განადგურებული მრეწველობა, რომ შიმშილი და სამოქალაქო ომი, რომელიც ძლიერდება და რევოლუციონურ მონაპოვარსა დაღუპვას უქადის, თავიდან იქნას აცილებული. მუშებს მოუწოდებენ დაიწყონ მუშაობა ყველგან, სადაც შესაძლებელია, ნუ დარჩებიან დიდ ქალაქებში, წავიდნენ სოფლად და პატარა ქალაქებში.

გროსბერლინის ჯარისკაცთა საბჭოს დელეგატების არჩევნებზე, გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალურ საბჭოს კრებაზე დასასწრებლათ, რომელიც 16 დეკემბერს გაიხსნა, სოციალდემოკრატიულ უმრავლესობის პარტიამ მიიღო 204 ხმა, დამოუკიდებელ სოციალისტებმა 121. ამ რიგათ ჯარისკაცთა საბჭოიდან სოციალდემოკრატიული უმრავლესობის პარტია 4 წარმომადგენელს გაგზავნის, დამოუკიდებელნი კი 2. გროსბერლინის მუშათა საბჭოში ცენტრალურ საბჭოს წევრების არჩევნების დროს სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიამ 349 ხმა მისცა, 79 კი ინტელიგენციის ფურცელს. ამგვარათ, მუშათა საბჭოები ცენტრალურ საბჭოში 4 სოციალისტს, 5 დამოუკიდებელს და 1 ინტელიგენტს გზავნის. საერთოდ გროსბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებიდან წარმომადგენელთა დე-

ლეგაციაში შედის 11 სოციალისტი, 7 დამოუკიდებელი და 1 ინტელიგენტი.

მეკლენბურგში დამფუძნებელ კრების არჩევნები დაინიშნა 25 დეკემბრისთვის.

მხოლოდ ახლა გაიგეს გერმანიაში, რომ მაკენზენის არმიის რამოდენიმე ათას ჯარისკაცს, რომლებსაც ბრძოლის უნარი აღარ ჰქონდათ, 5 დეკემბერს რუმინიის ჯარმა იარაღი აჰყარა და დატყვევა. მაკენზენმა ამის შესახებ პროტესტი განუცხადა რუმინიის მთავარსარდლობას ბუქარესტში. კრონშტადტიდან გერმანელი ელჩი იუწყება, რომ რუმინიის ჯარმა მაკენზენის მოწინავე რაზმს, რიცხვით 2000 ჯარისკაცს და 120 აფიცერს, გამგზავრების საშუალება არ მისცა, აჰყარა იარაღი, დაატყვევა და უდიერათ მოეპყრო.

დაჭერილ ოლქებში ფრანგები არა თუ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინააღმდეგ მიდიან, არამედ—კრიზუნახში გარეკეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსაგან შემდგარი სახალხო საბჭო.

აღმოსავლეთ ფრონტიდან დაბრუნებული აფიცრები და ჯარისკაცნი იუწყებიან, რომ რუსეთის ყოფილი ელჩი ბერლინში იოფე, რომელსაც მტრულად უყურებს გერმანიის მთავრობა, თავის თავს გერმანიის საბჭოებს ყრილობის მიერ მოწვეულად სთვლის და ცდილობს გაარღვიოს სადემარკაციო ხაზი და გერმანიაში ჩავიდეს (დამახინჯებულია).

16 დეკემბერს პრუსიის პალატის დარბაზში გაიხსნა გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დელეგატთა კონფერენცია, ფართო საზოგადოების ყურადღება იქითკენაა მიქცეული, მოიწვევენ თუ არა ახლო მომავალში დამფუძნებელ კრებას, თუ საბჭოთა მთავრობა შესცვლის მას.

საბჭოთა კონფერენციის გახსნის წინა დღეს გაიმართა ზეიმი. ბერლინის აღმასრულებელ საბჭოს თავმჯდომარემ მოლკენბურმა საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა. მოლკენბურმა აღნიშნა, რომ პირველი მიზანია მრეწველობის აღდგენა და მიწოდება ყოველგვარ საქონლის, რათა აღდგენილ იქნას საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე. ამიტომ კაპიტალისტური მრეწველობა უნდა შეიცვალოს სოციალისტურით. მოლკენბურმა სთქვა: პირველი მიზანი კრებისა არის ის, რომ უთხრათ მთელ საზღვარ გარეთს, ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელსაც შეუძლია მოლაპარაკება აწარმოვოს, ჩვენ გვსურს ზავი და პური მთავრობას, რომლის ხელშია აღმასრულებელი ძალა, საშუალება აქვს დაამყაროს წესიერება, შეასრულოს მთელი ხალხის ნება სურვილი, ხელი შეუწყოს მრეწველობას და მოაწესრიგოს მიმოსვლა. საკანონმდებლო უფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში იმის თავდებია, რომ ხალხის უფლება არავითარ შემთხვევაში არ იქნება შეზღუდული. ჩვენ უნდა მოვამზადოთ ნიადაგი, რომ გერმანიის რესპუბლიკის მთელ მომქმედ ძალას თავი მოუყაროთ დამფუძნებელ კრებაში.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გერმანიის წარმომადგენელს გრაფ კესლერს გადასცა ნოტა, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიის პოლონეთისადმი მტრული განწყობილების გამო, ყოველგვარი მოლაპარაკება უშედეგოა და დიპლომატიური დამოკიდებულება უნდა შესწყდეს. მოლაპარაკება სწარმოებდა ერთ ოლქზე, რომელიც ეკუთვნის... (გამოტოვებულია). და რომელიც დღესაც ემორჩილება... (გამოტოვებულია). ამ ოლქის პოლონეთის ხელში გადაცემა დაგვიანდა ტეხნიკური მიზეზების გამო და არ მოხდა ისე ჩქარა, როგორც ეს პოლონელებს სურდათ. პოლონელები ამაში გერმანიასთან დიპლომატიური კავშირის შეწყვეტის საბაბს ეძებენ და მეგობრობას უმტკიცებენ შეთანხმების სახელმწიფოებს.

## მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: მიეცეს სახალხო გვარდიას ორი თვის განმავლობაში სამხედრო სამინისტროს კრედიტებიდან 3.000,000 მანეთი. ეს ფული დაუბრუნდება შემდეგ სამინისტროს სახალხო გვარდიის თანხებიდან პარლამენტის მიერ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ.

მიღებულ იქნას ზოგიერთი ცვლილებით მთავრობის იურისკონსულტის პროექტის დებულებისა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების შესახებ. პროექტი ამ დღეებში დასამტკიცებლად წარედგინოს პარლამენტს.

სამოქალაქო დღესასწაულებად დამტკიცებულ იქნას 26 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მდივნად მიწვეულ იქნას გალაქტიონ ქიაბაძე.

დამტკიცებულ იქნას იუსტიციის მინისტრის პროექტი მსაჯულებისა და ბრალმდებლების შესახებ. მანვე მიიღო დანარჩენ მოსამსახურეთა შესახებ აზრი საუწყებათაშორისო კომისიის დასკვნის თანახმად.

## უკანასკნელი ცნობები

სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. ი. გულიევის სიტყვით, რომელიც თავის სამინისტროს საქმეების გამო ჩამოვიდა ერევნიდან ტფილისში, გავრცელებული ხმები, თითქოს ერევანში გადატრია-

## იყიდება ძველი გაზეთები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის“ კანტორაში—დილის 9 საათ. 2 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

ლება მომხდარიყოს, სინამდვილეს არ შეეფერება. სამხარეთიდან გავიდა ავადმყოფობის გამო მხოლოდ სახალხო განათლების მინისტრი ათამეგოვი, რომლის პორთფელი სომხურ სახალხო პარტიის განკარგულებაში დარჩა. სანაინთან მომხდარ ამბებს, როგორც გულიევი ამბობს, მთავრობის პარტიულ შემადგენლობაში არავითარი ცვლილება არ მოუხდენია.

---

ტფილისის საგანგებო სასამართლოში, შაბათს, 21 დეკემბერს დაიწყება ძველის ხიდის აფეთქების საქმის გარჩევა. პასუხისგებაში არიან მიცემული სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი გ. დ. შმავაილოვი, მიხეილ (იგივე სარქის) კუზარიანცი და ა. ა. კურუჯლიანცი. საბრალმდებლო ოქმით მოწმეებად გამოწვეულია 17 კაცი, 10 მოწმეც დამცველთა მხრით. უკვე სამართალში მიცემულნი დამნაშავენი იქნენ ცნობილნი, მათ სიკვდილით დასჯა მოელით. დამცველებად იქნებიან ნაფიცი ვექილები კ. დ. ზელინსკი და ა. ა. პაპოვიანი. საქმის გარჩევა სამ დღეს გაგრძელდება სასამართლოს დარბაზში დამსწრეთ ბილეთებით შეუშვებენ.

---

უკრაინული გაზეთების გადმოცემით პოლონეთში ამ ჟამად ოთხი მთავრობაა: ვარშავაში—პილსუდსკის მეთაურობით, ლიუბლინში—საბჭოთა რევოლიუციონერების, კრაკოვში—ეგრეთ წოდებული პოლონეთის სალიკვიდაციო კომისია და ლვოვში—„სტარო“ პოლონელებისაგან.

## ბაქოში

12 და 13 დეკემბერს ბაქოში მოკავშირეთა ჯარები მოვიდა ზღვით ენზელიდან და კრასნოვოდსკიდან.

9 დეკემბერს სამხედრო საველე სასამართლომ გაარჩია შემდეგ პირთა საქმე, რომელთაც ბრალდებოდა—1) გრიგოროვს—შეიარაღებული თავდასხმა-გაძარცვა. მისაჯა ერთი წლით გამასწორებელი რაზმი.

2) მარტიროსოვს—იმავე დანაშაულობისთვის ექვსი თვით გამასწორებელი რაზმი.

3) ეგიაზაროვს შეიარაღებული გაძარცვისთვის—ჩამოხრჩობა.

4) აგაკოვს იმავე დანაშაულობისათვის—ჩამოხრჩობა.

5) ვარლამოვს ქუჩაში სროლისა და ორი კაცის დაჭრისთვის—დახვრეტა.

სიკვდილით დასასჯელთა შესახებ განაჩენი 13 დეკემბერს შუადღისას სისრულეში იქნა მოყვანილი ბაილოვის ციხეში.

სიკვდილით დასჯის შესახებ დემოკრატიულ თათბირზე თავმჯდომარე ვეანგულოვმა შემდეგი განაცხადა: როგორც კი გავიგეთ პარაპეტზე ხალხის თანდასწრებით სიკვდილით დასასჯელ ძელებს ამზადებენო, დაუყოვნებლივ გავეშურეთ კავშირთა საბჭოში, მოვიწვიეთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და გავემგზავრეთ მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიციის კომისარ პოლკოვნიკ კოკერელთან, რომელსაც განვუცხადეთ, რომ შეკავშირებული დემოკრატია არ დაუშვებს სიკვდილით დასჯას, განსაკუთრებით ხალხის თანდასწრებით. პოლკოვნიკი კოკერელი დაეთანხმა დელეგაციას და განაცხადა, რომ მან უკვე მოახდინა განკარგულება პარაპეტიდან სახრჩობელების აღებისა და აღგვითქვა, რომ ამის შემდეგ ხალხის დასწრებით სიკვდილით დასჯა არ მოხდება.

ილაპარაკეს ს. რევ. საჰაკიანმა, დაშნაკელმა ჩუბარიანმა და სხ. მათ წინადადება მისცეს თათბირს პროტესტი განეცხადებინა მოკავშირეთა წარმომადგენლებისათვის სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ. კენჭის ყრით გადაწყდა არავითარი პროტესტი არ გამოიტანოს თათბირმა ამ საკითხის შესახებ.

## ახალი ამბები

**მობილიზაცია.** ტფილისის ქუჩებში გუშინ სამხედრო უფროსის, პოლკოვნიკ ქლიტის ხელმოწერით მოწოდება გააკრეს, სადაც ნათქვამია: სამხედრო მინისტრის დეპეშის თანახმად გამოცხადებულია მობილიზაცია 1892, 3, 4 და 5 წლებში დაბადებულ სათადარიგო ჯარისკაცებისა. აგრეთვე მოვალენი არიან გამოცხადდნენ ექიმები 35 წლამდე მოხალისეები მიიღებიან. მობილიზაცია ცხადდება 18 დეკემბრიდან. მიღება სწარმოებს დილის 8 საათიდან 16 საათამდე, სახლი თამამშევისა, ვოგზლის ქ. სადგურის პირდაპირ.

◆ **გაზეთების დახურვა.** გენერალ გუბერნატორმა დახურა „კავკაზსკოე სლოვო“, „აზხატავორი“ და „ნორ ორიზონი“. რედაქტორები დაპატიმრებულ იქნენ.

◆ **სახალხო სახლში.** დღეს, 19 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: სომხეთის საზღვრებზე მომხდარი ამბები. მომხსენებელია ევგ. გეგეჭკორი.

◆ **ბათუმში ქართველების დაბრუნება,** როგორც ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, დაუბრკოლებლივ სწარმოებს. ახლო ხანში მოხდება ბათუმის საქალაქო არჩევნები, ამიტომ საჭიროა ქალაქიდან გამოხიზნულთა უკანვე დაბრუნება.

◆ **ქართველი სტუდენტობა ჯარში.** 17 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შემდგარ ქართველ სტუდენტთა კრებამ დაადგინა სიხარულით შეეგებონ მთავრობისაგან გამოცხადებულ მობილიზაციას. ყველა ქართველი სტუდენტი, რომელსაც მობილიზაცია ეხება, უნდა გაიჭრეს ჯარისკაცად, დანარჩენები კი, თავისი ნებით უნდა ჩაეწერონ სხვადასხვა ნაწილებში.

◆ **დატუსაღება.** მილიციის უფროსის განკარგულებით 3 თვით დატუსაღებულ იქნენ: ტერ-ისაევი ფარულად მაგარი სასმელების გაყიდვისათვის, გიორგი მესტვირიშვილი და შ. ოგანესიანცი უნებართვოდ იარაღის შენახვისათვის. ორი კვირით—მ. ოგანეზოვი და ი. გელოიანცი საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარღვევისათვის.

◆ **სახალხო სკოლების ინსპექტორმა** თხოვნით მიმართა სახალხო განათლების მინისტრს, მასწავლებლები დაკმაყოფილებულ იქნენ ჯამაგირებით. შუამდგომლობა მინისტრმა ფინანსთა მინისტრს გადასცა.

◆ **ნაქურდალი საქონელი.** 17 დეკემბერს ღამის 11 საათზე მე 7 კომისარიატის უბანში მილიციონერებმა დააკავეს ტაჩკა ს. გორგიჯანოვისა, რომელშიაც აღმოაჩინეს 3 ტომარა ყავა, 4 ტომარა შაქარი. ეს საქონელი წინა ღამეს მოეპარავთ ქალაქის სავაჭრო სახლიდან № 3.

◆ **ყარაიაზში სოფ. ერთობაში** მომავალ კვირას მოწვეულია საზოგადო კრება შემდეგი საკითხის გადასაწყვეტად: კოოპერატივის გამგეობის არჩევა, მიწების შესახებ, და სოფლის კომისარის არჩევა. სთხოვენ ერთობის მცხოვრებთ კრებას დაესწრონ. კრება კანონიერი იქნება რამდენიც წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

◆ **გაზეთების გაგზავნა.** ცხენების მობილიზაციის გამო პროვინციაში გაზეთები იგზავნება მეორე დღეს, რადგანაც ეტლი არ იშოვნება. გაზეთები ხვალიდან შეუწყდება გორს, ხონს და ნიგოითს, რადგანაც მათზე დიდი ვალია და ფულს არ გზავნიან. კანტორა „განათლება“.

◆ **სახალხო გვარდიისათვის.** მილიციონერთა პროფესიონალურმა კავშირმა გადასცა სახალხო გვარდიის ფონდის გასაძლიერებლად ათასი მანეთი განსაკუთრებულ თანხიდან, გარდა იმ პროცენტებისა, დაახლოებით ხუთი ათასი მანეთი, რომლებიც გადასდეს თავიანთ ჯამაგირებიდან მილიციონერებმა.

◆ **გერმანიის დელეგაციის წევრი,** პროფ. ცუგმაიერი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ „პალას ოტელის“ დაწვის დროს მან თავის ოთახში იპოვა გიორგის ჯვარი № 265,884. პატრონს შეუძლია ჯვარი მისგან მიიღოს.

◆ **ქართველ ექიმთა პირველი ყრილობა** გადადებულ იქმნა თანახმად ქუთაისის ექიმთა საგუბერნიო პროფესიონალურ კავშირის თხოვნისა. ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **„ერთობის“ რედაქცია.** ახლო ხანში გადადის არაქელოვის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე № 24.

### კრებები.

დღეს, საღამოს სრულ ხუთ საათზე მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება მეორე რაიონის ყველა მცირე კოლექტივების და კოლექტივის წევრთა შეერთებული კრება.

— დღეს, სღ. 6 საათზე, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქ. № 29), დანიშნულია მეოთხე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

### პროვინციის ქრონიკა.

**ყვირილა-შორაპნის** რაიონულმა სახალხო გვარდიის შტაბმა თავის 14 დეკემბრის სხდომაზე მიუსაჯა ხუთი დღის ციხე სახალხო გვარდიის წევრობიდან გარიცხვით გიორგი ჰუმბურიძეს თავის მოვალეობის ასრულების დროს სიმთვრალის გამო.

## სამუსლიმანო საქართველო

გურიის სოც. დემ. მუშათა პარტიის კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოსცა:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ჩვენი ღვიძლი ძმები, ქართველი მაჰმადიანები, იღვიძებენ. ქრისტიან ქართველ დემოკრატიის მოწოდება თანდათან პოულობს მათში ნიადაგს. დროებითი შერიგების პირობების ძალით ოსმალეთი უნდა ჩადგეს 1914 წლის საზღვრებში. დროებით ზავ ს პირობათა ძალით მას მხოლოდ ჯარის ერთი მესამედი შეუძლია დატოვოს დაპყრობილ ადგილებში და ისიც ინგლისის მოსვლამდე. ოსმალეთი ცბიერობს. გაქცეულ ენვერ-ფაშას პარტიას სურს ადგილობრივათ დარჩენა. ქართველ მაჰმადიანთა ერთი ნაწილი ოსმალეთის აგენტების ზედ გავლენით ცდილობენ ოსმალეთისაკენ გადაიბირონ აჭარა-ქობულეთისა და ახალ-ციხის მცხოვრები ჩვენი ძმები. მაგრამ ოსმალეთის დამარცხებასთან ერთად მათაც ეცლება ნიადაგი. მეორე ნაწილი ცდილობს ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილი ნაწილი ქართველ მაჰმადიანებისა კვლავ დაუბრუნოს თავის ეროვნულ აკვანს და შეუერთოს საქართველოს. ვის მიეკედლება ქართველი მაჰმადიანები: თვითმპყრობელ სულთანს, თუ თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს, ეს ბევრით არის დამოკიდებული ჩვენი ტაქტიკისაგან.

ქრისტიან-ქართველ დემოკრატიამ უკვე გადადგა ნაბიჯი: მან ხელი გაუწოდა მაჰმადიან დემოკრატიას და რამდენიმეთ სამაგიერო პასუხიც მიიღო მისგან. ქრისტიან ქართველებთან დაკავშირების სურვილი დღეს თანდათან ძლიერდება მაჰმადიან ქართველებში. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას და მთელი თავისი ძალ ღონით შეეცადოს კავშირი გააბას მაჰმადიან ქართველებთან, რომ იხსნას ისინი თვითმპყრობელ სულთანის ბრჭყალებისაგან.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ის სამწუხარო და ყოვლად დასაგმობი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ომის დროს აჭარა-ქობულეთლების ჩვენთან დამოკიდებულებაში, იყო საქვეყნო უბედურებით გამოწვეული, პროვოკატორების და ოსმალოს აგენტების მოწყობილი. ამას გრძნობს დღეს ჩვენი მოძმე მაჰმადიანთა საუკეთესო ნაწილი და ცდილობს ასეთივე შეგნება ჩაუნერგოს მთელ აჭარა-ქობულეთს. ჩვენი ვალია გული გაუხსნათ ჩვენ ღვიძლ ძმებს და დემოკრატიული საქართველოს მაღალი ინტერესებისათვის უკუ ვაგდოთ ყოველ-გვარი უკმაყოფილება მათდამი. შორს ჩვენგან ჩივილი და საყვედური! კვლავ მოგიწოდებთ ქართველ მაჰმადიან დემოკრატიასთან მტკიცე კავშირისაკენ.

## რევოლიუცია გერმანიაში

### ბერლინის საბჭოს მოწოდება.

ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და ამერიკის ხალხთადმი შემდეგი მოწოდება გამოუშვია: „ოთხ წელიწადს ჰყოფდა ხალხებს ომი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად. ადამიანის სიცოცხლის მილიონები განადგურებულია, აუარებელი კულტურული სიკეთენი მოსპობილია. ყველა ხალხებს ზავი სწყურიათ, გერმანიაში ომი გამოწვეული იყო მმართველი კლასების მიერ. სამხედრო დიქტატურის რკინის რეჟიმს დაემონავებინა მთელი ქვეყანა. მათ, ვინც დიქტატურის წინააღმდეგ სცდილობდნენ ებრძოლნათ ზავისა და თავისუფლებისათვის, სასტიკად სდევნიდნენ. მმართველი წრეების ამპარტავნობას და გაუმაძღრობას მიჰყავდა გერმანიის ხალხი სრულ დაღუპვამდე. მაგრამ უკანასკნელ მომენტში მან მოიშორა ეს აუტანელი უღელი. მუშებმა და ჯარისკაცებმა დასცეს ძირს სამხედრო დიქტატურა, რომელიც პასუხისმგებელი იყო ომის წარმოებაზე. მუშებმა და ჯარისკაცებმა მოიპოვეს გერმანიის თავისუფლება. ეხლა სხვა ხალხებს არა აქვთ საფუძველი ჩვენი ეშინოდეთ. წინანდელი მოძალადე საგარეო, ისე როგორც საშინაო პოლიტიკა გერმანიისა სამუდამოდ მოისპო. გერმანიის მილიტარიზმი თავის დღეში ვერ ასწევს თავს, ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება, მათი შეერთებული მუშაობა თავისი ეკონომიური ინტერესების დასაკმაყოფილებლად არის მიზანი გერმანიის მუშების და ჯარისკაცებისა. აღდგენა გერმანიისა, ახალი ორგანიზაცია პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებისა, ხალხის გადარჩენა შიმშილისაგან შეუძლებელი გახდება, თუ მოყვანილი იქნება სისრულეში მძიმე პირობები დროებითი ზავისა, რომელიც გერმანიას შეთანხმების სახელმწიფოებმა მოახვიეს. ჩვენ მივმართავთ, აქამდე მოწინააღმდეგე სახელმწიფოების ხალხების სამართლიანობის და სოლიდარობის გრძნობას და უშვერათ მათ თხრილებზე ჩვენ მეგობრულ ხელს. ჩვენ ვთხოვთ მათ, რომ იქონიონ გავლენა მთავრობებზე, რომ გერმანიის ხალხს სიკვდილი არ ხვდეს შიმშილისაგან და პოლიტიკური ულონობისაგან. ჩვენ ვთხოვთ ხალხებს მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ მომავალი ზავი იყოს ძმური შეთანხმება, ყოველგვარ დაპყრობას და ძალმომრეობას მოკლებული, იყვეს ზავი, რომელიც ყოველ ერს მისცემს გარანტიას თვითგამორკვევისა და თავისუფალი განვითარებისას. თქვენ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და იტალიის მუშებს არა ერთხელ განგიცხადებიათ, რომ ამისთანა ზავი იყო მუდამ თქვენი მიზანი. ეხლა თქვენ უნდა ეს საქმით დაამტკიცოთ. მოითხოვეთ, რომ დროებითი ზავის პირობები, რომლებიც გერმანიის ხალხს შიმშილს უქადიან, შემსუბუქებულ იქნენ, მოითხოვეთ, რომ ჩამოგდებულ იქნას სამართლიანი ზავი. როგორც მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლები ჩვენ ვიმაღლებთ ჩვენ ხმას და გთხოვთ თქვენ, რომ თქვენმა მთავრობებმა [illegible] გერმანიის ხალხი დაღუპვამდე. ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და გვსურს ვიყოთ სრულ უფლებიანი წევრი მომავალ ხალხთა კავშირისა, გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციონურ სოციალიზმს“.

## ს.-დემ. პარტიაში

**ანგარიში ს.-დ. პ. თფ. მე-4 რაიონის კოლექტივისა 1918 წ. 1-ლ დეკემბრისთვის.*)**

კოლექტივის არჩევნები მოხდა 19 მაისს, კოლექტივს უმუშავნია 6 თვე და 12 დღე.

კოლექტივის წევრთა კრება კოლექტივისვე დადგენილებით აუცილებლივ კვირაში ერთხელ უნდა გამართულიყო, ე. ი. მთელ ამ დროში კოლექტივს უნდა გაემართა 29 კრება, ნამდვილათ გაუმართნიათ 16-ჯერ.

ამ თექვსმეტ კრებაზე გაურჩევიათ 83 საქმე, საშუალოთ კრებაზე 5 საქმე. აღნიშნულ კრებებს კოლექტივის წევრები დასწრებიან საშუალოთ 11 კაცი. სრული შემადგენლობა არც ერთ კრებას არ დასწრებია.

ამ ხნის განმავლობაში კოლექტივს ჰქონია შემოსავალი: 1) საწევრო შემოსავლელი 77 მ. 50 კ.; 2) საწევრო ბარათები 70 მ. 20 კ.; 3) მარკებისა 1287 მ. 20 კ.; 4) ფინანსიური კომისიისაგან 542 მ. 75 კ.; 5) მუშათა რაიონის კლუბისთვის 50 მ. 20 კ.; 6) შემოწირულება 51 მ. 20 კ.; 7) გაზეთ „ერთობის“ პროცენტები 337 მ. 63 კ.; 8) გაზეთ „ერთობაზე“ ხელის მოწერთაგან 403 მ. 23 კ.; 9) ლიტერატურა გაყიდულა 92 მ. 28 კ.; 10) წითელ გვარდიელების ოჯახებისთვის 1861 მ. 30 კ. სულ შემოსულა 4773 მ. 49 კ., 19 მაისს ნაშთი კასაში იყო 635 მ. 62 კ., ნაშთითაა 5409 მ. 11 კ.

გასავალი: 1) მდივნის ჯამაგირი (5, 6, 7, 8 და 9) 2020 მან; 2) საწევრო ბარათების, ლიტერატურის 248 მ. 05 კ.; 3) გაზ. „ერთობის“ დამტარებელთ 327 მ. 85 კ.; 4) საკანცელიარო ხარჯები 296 მ. 65 კ.; 5) გაზ. „ერთობის“ ხელის მომწერლებს 577 მ. 55 კ.; 6) ფინანსიურ კომისიას დროებით 300 მ.; 7) მოსამსახურეების ჯამაგირები 615 მ.; 8) თფ. კომიტეტს პროცენტები 385 მ. 40 კ.; 9) წითელ გვარდიელთა ოჯახებს 497 მ. 90 კ. დახარჯულა სულ 5268 მ. 40 კ. 1918 წ. პირველ დეკემბრისთვის კასაში რჩება 140 მ. 71 კ. ამ ნაშთის გარდა კოლექტივისა მართებთ ზოგიერთებს გაზეთზე ხელის მოწერისა 168 მ. 05 კ. არის ლიტერატურა გასაყიდი დაახლოებით 150 მ., ხოლო 1918 წ. 1 დეკემბრისთვის კოლექტივს მართებს, რომელიც უნდა გადაუხადოს: ნოემბრისთვის ჯამაგირი მდივანს 500 მ., მსახურებს 100 მ., წითელ გვარდიის ოჯახებს 1363 მან. 40 კ., მუშათა კლუბს 50 მ. 20 კ. ვალია 2013 მ. 60 კ.

პირველ დეკემბრისთვის ითვლება სულ 972 წევრი. წევრთა ჩაწერა ხდებოდა ასეთნაირათ: 1918 წლის იანვრამდის ყოფილა 483 წევრი. იანვარში მომატებია 117, თებერვალში 71, აპრილში 20, მაისში 10, ივნისში 27, ივლისში 27, აგვისტოში 21, ენკენისთვეში 27, ოქტომბერში 18, ნოემბერში 22.

### საწევრო გადასახადი.

მთელი წლის განმავლობაში 972 წევრებს ორ-ორი აბაზობით უნდა შემოეტანათ სულ 4061 მ. 20 კ. ნამდვილათ შემოუტანიათ 2834 მ. 40 კ. გადასახდელია 1226 მ. 80 კ., დამატებითი გადასახადი 2 მ. 40 კ. რომელიც ყველა წევრს უნდა გადაეხადნა ენკენისთვიდან 972 წევრიდან შემოუტანიათ მხოლოთ 189 წევრს და 783 წევრს ჯერაც არაფერი არ გადაუხდია, მთელი საწევრო კოლექტივს უნდა შემოსვლოდა 6394 მ. შემოუტანიათ 3287 მ. 40 კ. და ჯერაც არაა შემოტანილი 3106 მ. 60 კ. ანუ შემოტანილია 49.

### წევრების შემადგენლობაა პროფესიით.

972 წევრი ნაწილდებიან: 1) მუშები, რომელთაც საწარმოო საშუალება არა აქვთ 300 კაცი ანუ 30.8 პროც. 2) ხელოსნები—რომელთაც საწარმოო საშუალება აქვთ 215 ანუ 22,2 პროც. 3) ინტელიგენტური შრომისა 288 ანუ 29,6 პროც. 4) სხვადასხვა 93 ანუ 9,5 პროც. 5) ცნობა არაა 76 ანუ 7.8 პროც. სულ 972.

ნაციონალურათ ნაწილდებიან: 1) პოლონელი, ლატიშები, აისორები, მუსულმანები, მოლოკნები, გერმანელები სულ 14 ანუ 1.4 პროც. 2) ოსები 14 ანუ 1.4 პროც. 3) ებრაელები 12 ანუ 1.2 პროც. 4) სომხები 38 ანუ 9 პროც. 5) რუსები 53 ანუ 5.2 პროც. 6) ქართველები 712 ანუ 73,2 პროც. 7) ცნობა არაა 79 ანუ 8 პროც.

მ. ტ.

---

*) უფრო ვრცლათ ეს ანგარიში უნდა გამოქვეყნებულიყო კვირას, 15 დეკემბერს მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებაზე, მაგრამ რადგანაც კოლექტივის ხელახალი არჩევნები გადაიდო შემდეგ კრებისთვის, ანგარიშიც მომავალ კრებაზე იქნება წაკითხული.

განათლებით ნაწილდებიან: 1) უმაღლესი სწავლის და სტუდენტობა 55 ანუ 6.3 პროც. 2) საშუალო განათლება 107 ანუ 12.3 პროც. 3) დაწყებითი, სასოფლო სკოლის წერა-კითხვის მცოდნე 522 ანუ 60 პროც. 4) უცოდინარნი 103 ანუ 11.9 პროც. 5) ცნობა არაა 83 ანუ 9.5 პროც.

972 წევრიდან ქალია 149 ანუ 15,3 პროც. ოჯახური მდგომარეობით: ცოლშვილიანი 542 ანუ 55,5 პროც. უცოლშვილონი 351 ანუ 36 პროც. არაა ცნობა 79 9 პროც.

იდეური მუშაობისთვის იმართებოდა შაბათობით საუბრები სხვადასხვა საკითხებზე კოლექტივის ბინაზე და ადგილობრივთ ქარხანა ფაბრიკებში. სხვადასხვა საკითხებზე მოწვეული ყოფილან ამხანაგები: კარლო ჩხეიძე, ირ. წერეთელი, ნ. რამიშვილი რ. ჩიხლაძე, კ. ნინიძე, დ. ონიაშვილი, ვლ. ახმეტელაშვილი და გ. ერაძე.

მდივანი მ. ტულუში.

**ზედა-ბახვი** (გურია). 11 დეკემბერს შესდგა ადგილობრივ სკოლის დარბაზში ს. ს. დ. მ. პ. „იაზგაკის" წევრთა კრება. მოხსენება რაიონული კოლექტივიდან გააკეთა ამხ. მიხაკო ბაქუნაიშვილმა. შემდეგ მოუწოდა კრებას ჩაწერილიყვნენ ადგილობრივ გვარდიაში. დასასრულ მომხსენებელმა გამოუთქვა კრებას, რომ ის სისტემატიურად პარტიის შესახებ „იაჩვიკაში" ამაცხადინებს.

სამსონ ხუხუნაიშვილი

## ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

**ფოთი.** 3 ნოემბერს ქალაქი შეუდგა დროებითი ხიდის აგების კუნძულზე და ნავსადგურის შორის მდ. რიონზე. ხიდი ქალაქს დაუჯდება 33,000 მან.

— მილიციის უფროსი პრ. კილურაძე თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა. მის ადგილას დროებით მოწვეულია გრ. ხოშტარია. მილიციის უფროსის თანაშემწე ბ. ნიჟარაძე სამსახურიდან გადადგა. მილიციის სამმართველოში გადაყენებულ იქნა აგრეთვე რამდენიმე პირი.

— თფილისიდან საგანგებოთ ჩამოსულმა სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა ჩაიბარა ფოთში თავმოყრილი გერმანელების სამხედრო ქონება.

— ქალაქის საბჭომ გამოჰყო თავის წრიდან ქალაქის საარჩევნო კომისია. მთელი ქალაქი დაიყო ქალაქის ახალ არჩევნებისათვის ხუთ უბნათ თუ მოესწრო, არჩევნები უნდა მოხდეს იანვრის პირველ რიცხვებში.

— ამ დღეებში ჩამოვიდა პოლკ. ართმელაძე. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოწვეულ იქნა ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან თათბირი ჯარში კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გასაწევათ და ამ მიზნით ცალკე საზოგადოების დაარსებისათვის. თათბირს არ დასწრებიან მხოლოდ ნაც. დემოკრატების წარმომადგენლები. თათბირზე იყვნენ აგრეთვე წარმომადგენელნი სხვადასხვა საზოგადო ორგანიზაციებიდან: ქალთა საზ., მუშათა პროფ. კავშირ. და სხ. ამ წინასწარ თათბირზე დასახულ იქნა ჯარში მიმავალ კულტურულ განმანათლებელი მუშაობის გეგმა და არჩეულ იქნა ახალი საზოგადოების გამგეობა და სხვადასხვა სექციები: სათეატრო, წერა-კითხვის, მუზის, ლექციების და სხვ. მესამე დღეს შესდგა საზოგადო დამფუძნებელი კრება ახალი საზოგადოებისა, რომელზედაც დამტკიცებულ იქნა წინასწარ თათბირის კანდიდატების სიები.

— 12 დეკემბერი, სახალხო გვარდიის დღე, აქ მშვენივრათ და კოხტათ ჩატარდა. უმთავრეს ქუჩებში მოწყობილი იყო ლამაზად მორთული „კიოსკები", ახალგაზრდები ყულაბებით აგროვებდნენ ფულს სახალხო გვარდიის სასარგებლოთ. საღამოთი ვაჟების გიმნაზიაში გაიმართა „სალამო" წარმოდგენით და დივერტისმენტით. იმავე საღამოს ჩამოვიდა თფილისიდან საგანგებო მატარებელი, რომელსაც ხალხი ბლომად შეხვდა. დღესით გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს სხვადასხვა პარტიების და მუშათა საბჭოს წარმომადგენლებმა. №

**ზემო იმერეთი.** ზესტაფონიდან ხიდ. მოლითამდე, რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ მდებარე სოფლები, ყოველის მხრით მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან სამაზრო ქალ. ზესტაფონზე. აქაური მცხოვრებნი და ვაჭრები, რომ ღამის გათევა იქ არ მოუხდეთ, მიდიან დილით ზესტაფონში, აკეთებენ თავიანთ საქმეს და ბრუნდებიან საღამოს სახლში. მაგრამ, როგორც ვიცით, ნოემბრიდან შეიცვალა მატარებლების მიმოსვლის წესი და ზოგ მატარებლებს დაემატა პლაცკარტი (ვაგ. №№ 5 და 6). ამ გარემოებამ მოუსპო აქაურებს საშუალება, რკინის გზით სარგებლობისა. მატარებელი № 5, რომელიც მოდის დილას თფილისიდან ფოთისკენ და მატ. № 6, რომელიც მიდის ფოთიდან თფილისისაკენ საღამოს, არიან „პლაცკარტით", რომელიც ღირს ათი მანეთი. თუ ამ მატარებლებით შორს მოგზაურობა ხელსაყრელია, ასე არ არის ახლოს მოგზაურობის დროს. მაგ. სადგ. ძირულიდან, რომ ზესტაფონამდე (12 ვერსია) წახვიდე წამოხვიდეთ, ღირს ოცდა სამი მანეთი. მესამე და მეოთხე ნომერი მატარებლები, რომლებზედაც ჩვეულებრივი ფასია, დადიან იმნაირ დროს, როდესაც გამოუსადეგარია იმ მიზნისათვის, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზესტაფონში დადის მოსწავლე ახალგაზრდობა სამეცადინოთ. მათთვის არის დანიშნული სპეციალურათ ვაგონი, რომელიც მუდამ რამოდენიმე საათს იგვიანებს და ხანდახან სულაც არ მოდის. ამიტომ იმ დროს, როდესაც მოწაფეები სკოლაში უნდა მეცადინეობდნენ, სხედან სადგურებზე და ჰკარგავენ დიდძალ დროს მატარებლის ლოდინში. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება რკ. გზის მმართველობამ და იხსნას ხალხი ამ უხერხულ მდგომარეობიდან ეს, მე მგონია, ადვილი შესაძლებელია. შემდეგ ნაცვლად დაინიშნოს ერთი ვაგონი სადგ. მოლითის ან შორაპნის და ზესტაფონს შუა, რომელიც უნდა წავიდეს დილას ზესტაფონისკენ და საღამოს უკან დაბრუნდეს, რომ ეს ვაგონი მიებმებოდეს დილის მატ. № 5 ზედ, ეყოფა, როგორც ადგილობრივ „პასაჟირებს", ისე მოწაფეებს. ბილეთები, რა თქმა უნდა, უნდა იყიდებოდეს ჩვეულებრივ ფასებში (უპლაცკარტოთ). აღსანიშნავია, რომ წინათ, ერთ დროს, ხალხის თხოვნით დადიოდა ამნაირი წესით ვაგონი, და მით უმეტეს, შესაძლო უნდა იყოს ეს დღეს.

ა—ოხი.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

„ერთობა"-ს № 233-ში მოთავსებულია კორესპონდენცია ოცხანიდან. კორესპონდენტი ცენტერაძე ბრალსა მდებს, ვითომც მე ხელს ვუშლიდი საზოგადოებას, რომ მას აფთიაქი შეეძინა, წერილი დამემალოს და სხვა. საქმე შემდეგშია: მე ვიყავი მოიჯარადრე ხიდისთავის აფთიაქის 1912 წ. 20 დეკ. ვიდრე 1917 წ. 20 დეკ. ბასილეთის საზოგადოებას სურვილი ჰქონდა ნ. გეგელაშვილისაგან აფთიაქის შესყიდვისა, ხოლო აფთიაქის პრივილეგიას კი უფასოთ თხოვდა. გასული წლის მარტისთვის უკანასკნელ რიცხვებში ნ. გეგელაშვილისაგან მივიღე წერილი, რომელშიაც მწერდა, რომ თანახმა იყო მიეყიდნა საზოგადოებისათვის აფთიაქი და პრივილეგიას კი უფასოთ უთმობდა საზოგადოებას. წერილს მიღების მეორე დღესვე წავუკითხე ბასილეთის საზოგადოების როგორც რევოლუციონური კომიტეტს, ისე ხიდისთავის რაიონული კოლექტივის თავმჯდომარეს ბიკტ. ცენტერაძეს, რომელიც იმ აზრისა იყო, რომ პრივილეგია მაინც აღარ არსებობდა (რასაც ეხლაც იმეორებს თავის წერილში) ზავი მალე იქნებოდა, სავაჭრო გზები გაიხსნებოდა, წამლები გაიაფდებოდა და აფთიაქის შესყიდვა უფრო მოხერხებულ დროს უნდა მოხდესო. გავიდა დრო. ცენტერაძის იმედები არ გამართლდა. არც პრივილეგია მოისპო და არც წამლები გაიაფდა. გასულ წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ადგილობრივმა ორგანიზაციამ განაახლა მოლაპარაკება გეგელაშვილთან. მოხდა საზოგადოების ყრილობა ოქტომბრის 29 რიცხვს, რომელსაც მე არ დავესწრებივარ. კომიტეტის ერთმა წევრმა, რომ მომავალი უხერხულობისაგან საზოგადოების წინაშე თავი დაეხწია, ბრალი ჩემზე გადმოიტანა. ეს კითხვა გაარჩია ხიდისთავის რაიონის პარტიულმა ყრილობამ, რომელმაც დაადგინა: „გამოირკვა, რომ სავსებით მართალი არიან ანდღულაძე და რამიშვილი, აგრეთვე ბიკტ. ცენტერაძეზეც იხსნება ბრალდება, ხოლო ორგანიზაციას კი ვერ მოუხერხებია კითხვა თავის დროზე" (აქტი 6 ნოემბერი 1917 წ.). ეს დადგენილება მოხსენებული იქნა მეორე ყრილობაზე (8 ნოემბერი) რომელმაც საყვედური გამოუთქვა ორგანიზაციის მიმართ ამ კითხვის დაგვიანებაზე და აირჩია ორგანიზაციისავე მიერ დასახელებული აფთიაქის შესყიდვის მომწყობი კომისია, რომელმაც მოინდომა მთელი ბრალდების ჩემზე გადმოტანა, რასაც შედეგათ მოჰყვა ჩემსა და ბასილეთის საზოგადოებას შუა შემდგარიყო სამედიატორო სასამართლო, რომელსაც უნდა გაერჩია თუ რამდენათ ვუშლიდი ხელს საზოგადოებას, რომ მის ხელში აფთიაქი არ გადასულიყო. სამედიატორო სასამართლომ გამამართლა მე (სასამართლოს ოქმი 22 აგვისტო 1918 წ.) დასასრულ ცენტერაძე სწერს ვითომც ჩემს ბატონობას ბოლო მოეღო, საზოგადოებამ აფთიაქი ჩაიბარაო. მოვაგონებ ბ. ცენტერაძეს, რომ მას ეს საქმე არ სცოდნია. თუ არა ჩემი სურვილი, საზოგადოება აფთიაქს ვერ შეისყიდიდა, რაც კარგათ იცის თვით კომისიამ და საზოგადოებამ. არამც თუ ხელი შევუშალე საზოგადოებას, 20 დეკემბერს, პირიქით, გეგელაშვილ დათეშიძეზე ჩასაბარებელი მთელი აფთიაქი წამლებით უნაკლულოთ კომისიას ჩავაბარე, რასაც იმედია თვით კომისია დაადასტურებს. ამასთან ცენტერაძეს არ სცოდნია, რომ რაც ადრე შეისყიდდა საზოგადოება აფთიაქს, მით უფრო ხელ საყრელი იყო ჩემთვის მისგან იჯარით ან მმართველობითი აღება, რის დაარსება და მოლაპარაკება თვით საზოგადოებისაგან მქონდა.

ივანე ანდღულაძე.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

### ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ჩემი ერთად-ერთი შვილი იოსებ ვასილის ძე ერქომაიშვილი 17 წლისა, წავიდა სახლიდან სადღაც და აგერ ექვსი თვეა მისი არაფერი ვიცი. ვთხოვ ყველას თუ ვინმემ იცის მისი რამ მაცნობოს ქალ. ოზურგეთში მასწავლებელ დავით ერქომაიშვილთან.

ვასილ ერქომაიშვილი.

ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ

### ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი ხნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაციები, კონსულტაციები, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექ. ქალი ა. ნ. [illegible]-ხანაშვილი

[illegible] ქალთა [illegible] შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავათმყოფთ და ბავშვებს [illegible] ბავშვებით [illegible] 6—7 ნახ. [illegible] მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი ლ. გ. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათ ავათმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. [illegible] ტელეფონი 16—65.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ
(მუდმივი საწოლებით)

### ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲝᲜᲮᲘᲜᲘᲡᲐ

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და ბავშვით 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და ბავშვთა 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს. მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლიშვილისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
ᲘᲝᲡᲔᲑ ᲠᲐᲟᲓᲔᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ᲔᲥᲘᲛᲘ Მ. Ა. ᲨᲐᲤᲐᲜᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

კბილის საექიმო კაბინეტები
ᲗᲔᲓᲝᲠᲔ ᲮᲐᲣᲕᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი

### Ა. Ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ

ღებულობს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

მედიცინის დოქტორი

### Ა. Გ. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

ექიმი

### Კ. Ტ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

(ბაქოდან)

მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
[illegible] ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

ექიმი ქალი
ე. ს. კარუქას—[illegible]

იღებს შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა სამზრო-დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Დ. ᲢᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან, საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ᲙᲐᲮᲔᲗ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ"-ს
გამგეობა აცხადებს, რომ მისთვის

### ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲑᲣᲦᲐᲚᲢᲔᲠᲘ

მსურველებმა თავიანთი პირობები ნამსახურობის და სწავლის მოწმობები უნდა წარმოადგინონ საზოგადოების გამგეობას, გოგოლის ქუჩა, № 63.

### ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით

### ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ მოიწვევს ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲔᲑᲡ

მამულიშვილნო, დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით არის მოთავსებული ლეგიონის კანცელარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე.

### ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ „ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ"-Ს ᲓᲐᲡᲘ.

წარ. № 5, 6. პარასკევს, 20 და ორშაბათს, 23 დეკემბერს წარ. № 5, 6.

წარმოდგენილი იქნება მეორედ ი. გედევანიშვილის ზღაპარი-ფერია

### ᲮᲘᲜᲐᲗᲚᲔ

(პირველი ნაწ.) 3 მოქ. და 7 სურ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

რეჟისორი შ. დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
რეჟ. თანაშ. ალ. გუგუშვილი. მორიგე წარმომად. ალ. გაჩეჩილაძე.
მზადდება: ანტიგონე, ტარიელ გოლუა. მსახიობთა კავშირის დირექცია. (2—1)

### ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ.

(მიხეილის ქ. № 66)

მუშ. დემ. კლუბთან არსებულ ქარ. წარ. მმართველი წრე. ხუთშაბათს, 19 დეკემბერს 1918 წელს წარმოდგენილი იქნება

დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, ვ. გუნიასი

### ᲓᲐ-ᲫᲛᲐ

მონაწილეობას იღებს მთელი წრე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. რეჟისორი პ. ფრანგიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის საექიმო-სასანიტარო განყოფილება 1919 წლის 1 იანვრიდან

**ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲡ** და მის **ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ-ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲔᲑᲡ** პროვიზორის წოდებით. პირველს დაენიშნება ჯამაგირი 750—900 მ-დე, მეორეს—600—750 მ-დე. საჭიროა ადმინისტრატიული გამოცდილება და საზოგადოებრივი წარსული. მსურველთ შემოაქვთ განცხადება და თავისი „Curiculum v.hae" საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში (პუშკინის ქუჩა № 3) არა უგვიანეს ამა წლის 25 დეკემბრისა. (1—1).

საქართველოს სახაზინო რკინის გზის

**ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ** იწვევს მსურველთ მოიჯარადრეებს, რომელთაც შეუძლიანთ მოგვაწოდონ ყოველნაირი სურსათი რკინის გზის მოსამსახურეებისათვის. ნახვა და მოლაპარაკება შეიძლება:

ელისაბედის ქუჩისა და მუშტაიდის შესახვევის კუთხე № 200, დილის 10 — შუადღის 3 საათამდე. (2—1)

### ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

### ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ

მოქალაქენო, ნუ დააგვიანებთ
ბილეთების შეძენას!

კვირას, 22 დეკემბ. განახლდება ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ორგანის ჟურნალ

### „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ"-ს

გამოცემა. ჟურნალი იქნება ორ კვირეული. ფულის და მასალების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით. ქ. თფილისი, ოლღას ქ. № 29 „ახალი კვალი"-ს რედაქციის. იქვე მოთავსებულია ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზ. ცენტრალური კომიტეტი. მიღება ღიაა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 საათამდე.

### ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამ თვის 7-ის თარიღით, რათა საჩქაროთ მოეწყოს სახელმწიფო მოსამსახურეთა სასურსათო დახმარების ორგანიზაცია, შრომის სამინისტრო წინადადებას აძლევს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა რკინის გზის და სამხედრო უწყებისა, დაჩქარებით წარმოუდგინონ სია თავიანთი მოსამსახურეების შემდეგი განმარტებით: 1) თანამდებობა მოსამსახურისა; 2) რაოდენობა ჯამაგირისა; 3) ოჯახის შემადგენლობა (რიცხვი ოჯახის წევრებისა) 4) რაოდენობა და ფასი იმ მოსახმარ საგნებისა, რომელსაც იღებენ დაწესებულებისგან და ან სად იღებენ. სია იმ მოსამსახურეების იმ დაწესებულებებიდგან, რომელნიც იმყოფებიან თფილისში უნდა წარმოდგენილ იქნეს არა უგვიანეს 20 დეკემბრისა და პროვინციებიდგან კი არა უგვიანეს 1 იანვრის 1919 წლისა.

სიები უნდა გამოგზავნილ იქნეს შრომის სამინისტროში (პეტრე დიდის ქუჩა 8).

შრომის სამინისტრო. (2—2)

ამა წლის 29 აგვისტოს (ძ. სტილ.) ბელორეჩინსკაიას 9 ვერსით მოშორებულ სტანიცა ფშეხსკაიას მახლობლად (ეკატერინოდარის რაიონი) ბრძოლის დროს

**ᲣᲙᲕᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ** 1-ელ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲔᲚᲘᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ვინც მის შესახებ რაიმე საბუთიანი ცნობების მოწოდებას შეძლებს, დაბეჯითებით ვსთხოვთ

### ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲗ

შეატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, არონ იაკობის ძე ელიგულაშვილი. (12—3)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი. № 1.